მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

ანგარიში მომზადებულია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის - შორენა ალაგარდაშვილის მიერ და წარმოადგენს 2020-2021 სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას.

http://www.mc.edu.ge

ზოგადი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებით

შპს მარნეულის კოლეჯის ერთ-ერთი მარეგულირებელი დოკუმენტის - ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები 2020-2021 წლის მანძილზე ახორციელებდნენ ვერიფიკაციის პროცესებს.

2020 წლის 12 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრაზე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ვერიფიკაციის დოკუმენტი. ის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს ეკისრებოდათ ვერიფიკაციის პროცესში.

ვერიფიკაციის პროცესებისთვის მზადება



2020-2021 წწ. რისკების სისტემის მიხედვით ვერიფიკაცია გავლილი მოდულები

დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლი

- კომუნიკაცია საექთნო საქმეში;
- ავადმყოფის მოვლა;

ერთი მოდულის ფარგლებში განმახორციელებელ პირთა სიმცირე

- გაცნობითი პრაქტიკა.
- საკრედიტო პროდუქტები.
- ანგარიშის გახსნა-დახურვა;
- დისტანციური საბანკო მომსახურება
- დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება.
- სალარო ოპერაციების განხორციელება ;
- ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება;

ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების დიდი რაოდენობა

- ბიოქიმია
- ანატომია

ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და განსახილველი საკითხები

- სამუშაო წლის მანძილზე ვერიფიკაციის ჯგუფს ჰქონდა გეგმიური 3 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები და გასატარებელი ცვლილებები. (იხ. ვერიფიკაციის სამუშაო შეხვედრების ოქმები).
- გეგმიური შეხვედრების გარდა, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი სამუშაო შეხვედრებს მართავდა ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის მიზნით. ვერიფიკაციის დასკვნებს წარადგენდნენ შიდა ვერიფიკატორები. სამუშაო შეხვედრებზე:
  - ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი, ჯგუფთან შეთანხმებით, თითოეული მოდულის განმახორციელებლებისთვის გასცემდა რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.
  - ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უშუალოდ აცნობდა რეკომენდაციებს მოდულის განმახორციელებელს.
  - მოდულის განმახორციელებელი ვადების დაცვით (ორ კვირა) სამსახურეობრივი ბარათის სახით ვერიფიკაციის ჯგუფთან წარედგენდა განხორციელებული ინტერვენციის შედეგებს.

ვერიფიკაციის პროცესების შედეგად გამოკვეთილი ტიპური ხარვეზები

ვერიფიკაციის პროცესების დასრულების შედეგად გამოიკვეთა ის ტიპური ხარვეზები, რომელიც თითქმის ყველა მოდულის (ვერიფიკაცია გავლილი მოდულები) შემთხვევაში გამოვლინდა. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა მოხსენებითი ბარათით მიმართა კოლეჯის დირექტორს რეაგირების მოსახდენად, რომ მსგავსი ხარვეზები აღმოეფხვრათ იმ მოდულებშიც, რომელსაც რისკების სისტემის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესებს არ საჭიროებდნენ.

ტიპური ხარვეზები

- საგამოცდო ტესტებში მოცემულ დავალებებს არ ჰქონდა ინსტრუქცია, გამოყენებული იყო მხოლოდ ღია კითხვები და არჩევით-ბოლოიანი კითხვები.
- შეფასების ინსტრუმენტში არ იყო გაწერილი განმეორებითი გამოცდის კონკრეტული ვადები.
- სტუდენტის გამოცდასთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმირებულობა ხდებოდა ისეთი გზებით, რომ არ არსებობდა ამის მტკიცებულება.

ვერიფიკაციის პროცესების დასრულება და შეჯამება

- ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მოიწვია 2021 წლის 24 მაისს, რისი საფუძველიც გახდა შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-7 მუხლის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება). აღნიშნული ცვლილების მიხედვით ვერიფიკაციისთვის შერჩეული მოდულები აღარ წარმაოდგნენ რისკ ჯგუფს.
- სამუშაო შეხვედრაზე შეაჯამეს განვლილი სამუშაო პროცესები და დასრულებულად გამოაცხადეს ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა 2020-2021 წლისათვის.

2021-2022 წწ. გასატარებელი ცვლილებები

- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმში უნდა გაიწეროს ახალი რისკები სისტემა.
- ✓ რისკები სისტემა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ვერიფიკაციის პროცესი შეეხოს კოლეჯის ყველა მასწავლებლის ერთ მოდულს მაინც.
- ✓ გაიწეროს კონკრეტული ვადები ვერიფიკაციის სამივე ფაზისთვის.
- ✓ ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა მოერგოს კოლეჯის საჭიროებებს.